

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი №18

ქ. მარტვილი

2 სექტემბერი 2022 წელი

სხდომა დაიწყო 13:00 სთ-ზე, დამთავრდა 15:00 სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ელდარი თოდუა, ალექსანდრე გრიგალავა, კობა დარჯანია, კახაბერ ჯგერენაია, ზურაბ მელიავა, ელიზბარ ახვლედიანი, შალვა ბახია, ლაშა ქობალია, ნათია ბჟალავა, ირინა გადელია, ჯამბულ ხუროძე, გიორგი კოკაია, გიორგი ჯიჯელავა, დათო ხელაია, შალვა თაფლაძე, მაია გაწერელია, აკაკი ხუნწელია, მაგდა შირავა, სერგი ფაცაცია.

ასევე ესწრებოდნენ: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი სიმონ რევია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ ნუგზარ ცანავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ელდარი თოდუა.

მოისმინეს 1: სხდომის თავმჯდომარის ელდარი თოდუას მოხსენება დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით და საკრებულოს წევრებს სთხოვა აღნიშნულზე აზრი გამოეთქვათ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა საკითხის წინ გაეცლოთ რეგისტრაცია.

სხდომის თავმჯდომარემ ელდარი თოდუამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე, კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 19, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 სექტემბრის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

/მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 სექტემბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 სექტემბრის განკარგულება № 58 სხდომის ოქმს თან ერთვის./

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 სექტემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;
/მომხსენებელი-ელდარი თოდუა, საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე/
2. მარტვილის მუნიციპალიტეტში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურენო დანიშნულების ს/კ:41.09.37.559 მიწის

ნაკვეთიდან 17კვ.მ. მიწის ნაკვეთის ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით წარმოდგენილი თანხის (2400 ლარი) 45%-ის ოდენობით განსაზღვრაზე და ზემოაღნიშნული ქონების (17 კვ.მ. ფართის) პირდაპირი განკარგვის წესით, ხუთი წლის ვადით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ ს.ნ:203836233 გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი-სიმონ რევია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი/

3. „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი-ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ/

4. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მარტვილის მუნიციპალიტეტში შესასრულებელი სამუშაოების კოექტირებული ნუსხის მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი-ნუგზარ ცანავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ/

სხდომის თავმჯდომარემ ელდარი თოდუამ საკრებულოს წევრებს სთხოვა მე-2 საკითხის წინ გაველოთ რეგისტრაცია.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა.

მოისმინეს 2: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსის სიმონ რევიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ს/კ:41.09.37.559 მიწის ნაკვეთიდან 17კვ.მ. მიწის ნაკვეთის ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით წარმოდგენილი თანხის (2400 ლარი) 45%-ის ოდენობით განსაზღვრაზე და ზემოაღნიშნული ქონების (17 კვ.მ. ფართის) პირდაპირი განკარგვის წესით, ხუთი წლის ვადით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ ს.ნ:203836233 გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ როგორც თქვენთვის ცნობილია 2022 წლის 8 ივნისს წერილით მოგვმართა შპს „საქართველოს ფოსტა“-ს წარმომადგენელმა, რომელიც ეხება მარტვილის მუნიციპალიტეტში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების ს.კ 41.09.37.559 მიწის ნაკვეთიდან 17 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, ხუთი წლის ვადით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ გადაცემას.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვას: კობა დარჯანიამ დასვა კითხვა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ჯიხურის განსათავსებლად საჭიროა მცირე ფართი და რატომ მიიჩნით 17 კვ.მ-ზე იჯარით გადაცემა საჭიროდ, რაზეც სიმონ რევია უპასუხა, რომ მუნიციპალიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე მივიჩნით აღნიშნული ფართის სრულად ათვისება, რადგან უფრო მცირე ფართის იჯარით გაცემის შემთხვევაში მიწის ნაკვეთის გარკვეული ნაწილი უსარგებლოდ რჩებოდა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 19, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს „მარტვილის მუნიციპალიტეტში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ს/კ:41.09.37.559 მიწის ნაკვეთიდან 17კვ.მ. მიწის ნაკვეთის ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით წარმოდგენილი თანხის (2400 ლარი) 45%-ის ოდენობით განსაზღვრაზე და ზემოაღნიშნული ქონების (17 კვ.მ. ფართის) პირდაპირი განკარგვის წესით, ხუთი წლის ვადით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ ს.ნ:203836233 გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით.

„მარტვილის მუნიციპალიტეტში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ს/კ:41.09.37.559 მიწის ნაკვეთიდან 17კვ.მ. მიწის ნაკვეთის ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით წარმოდგენილი თანხის (2400 ლარი) 45%-ის ოდენობით განსაზღვრაზე და ზემოაღნიშნული ქონების (17 კვ.მ. ფართის) პირდაპირი განკარგვის წესით, ხუთი წლის ვადით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ ს.ნ:203836233 გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 სექტემბრის განკარგულება №59 სხდომის ოქმს თან ერთვის/.

სხდომის თავმჯდომარემ ელდარი თოდუამ საკრებულოს წევრებს სთხოვა მე-3 საკითხის წინ გაეგლოთ რეგისტრაცია.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა.

მოისმინეს 3: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ ბონდო თოფურას მოხსენება, „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით, ასევე გააცნო საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №1449 განკარგულება.

სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მუნიციპალიტეტებს გამოუყო 20 619 900 ლარი, კერძოდ: მარტვილის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 995 000 ლარისა, და წარადგინა სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების თაობაზე განხორციელებული პროექტების შესახებ ინფორმაცია.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 19, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი წარმოდგენილი სახით.

/„მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 სექტემბრის დადგენილება №22 სხდომის ოქმს თან ერთვის/.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა მე-4 საკითხის წინ გაეკლოთ რეგისტრაცია.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა.

მოისმინეს 4: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ ნუგზარ ცანავას მოხსენება, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მარტვილის მუნიციპალიტეტში შესასრულებელი სამუშაოების კოექტირებული ნუსხის მოწონების შესახებ“.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ კორექტირება ხდება პროექტების გარკვეულ ნაწილში და წარადგინა პროექტების შეთანხმების ცხრილი და იქვე დასძინა, რომ ცვლილების შედეგად არ იცვლებოდა თანხის საბოლოო მოცულობა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმაჯამ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვას: ელდარი თოდუამ აღნიშნა, რომ წინა წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გარკვეული სოფლების პროექტებიდან მორჩენილი ხარჯები გათვალისწინებულია სხვა სოფლებისთვის, რასაც ის არ ეთანხმება, მისი აზრით კონკრეტული სოფლის ამ კუთხით მორჩენილი თანხა ისევ იმ სოფელს უნა ხმარდებოდეს.

რაზეც ნუგზარ ცანავამ უპასუხა, რომ ცალკე აღებული ეს თანხები ძალიან მიზერულია და უმჯობესია ამ კუთხით მორჩენილი თანხებიდან რაიმე მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდეს თუნდაც სხვა სოფელში.

სხდომის თავმჯდომარემ, აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 19, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მარტვილის მუნიციპალიტეტში შესასრულებელი სამუშაოების კოექტირებული ნუსხის მოწონების შესახებ“ განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით.

/„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მარტვილის მუნიციპალიტეტში შესასრულებელი სამუშაოების კოექტირებული ნუსხის მოწონების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 სექტემბრის განკარგულება №60 სხდომის ოქმს თან ერთვის/.

ამის შემდეგ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ:
/საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ელდარი თოდუა.